სულხან-საბა ორბელიანის
უნივერსიტეტი

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა

პროგრამის სახელწოდება	აღმოსავლეთ ევროპის საგარეო პოლიტიკა და უსაფრთხოება / Eastern Europe Foreign Policy and Security
პროგრამის ხელმძღვანელი	ივანე ოქრომჭედლიშვილი, ასოცირებული პროფესორი
სწავლების ენა	ქართული
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	პროგრამის I ნაწილი (60 ECTS): პოლიტიკის მეცნიერების მაგისტრი / Master of Political Science პროგრამის II ნაწილი (60 ECTS): კვლევის მაგისტრი პოლიტიკის მეცნიერებაში / Research Master of Political Science
პროგრამის მოცულობა კრედიტებით	სამაგისტრო პროგრამა აგებულია ECTS სისტემის საფუძველზე, სტუდენტზეა ორიენტირებული და ემყარება სტუდენტის აკადემიურ დატვირთვას, რომელიც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამის მიზნების მისაღწევად. სამაგისტრო პროგრამა მოიცავს 120 ECTS კრედიტს და შედგება 60 ECTS კრედიტის მოცულობის ორი ნაწილისგან (პირველი და მეორე ნაწილი). წელიწადში – 60 კრედიტი, სემესტრში – 30 კრედიტი; სტანდარტული ხანგრძლივობა 2 წელი (4 სემესტრი). სტუდენტის ინდივიდუალური დატვირთვიდან გამომდინარე, წელიწადში კრედიტების რაოდენობა შეიძლება იყოს 60-ზე ნაკლები ან მეტი, მაგრამ არა უმეტეს 75-ისა.
პროგრამის დამტკიცების თარიღი და ოქმის ნომერი	17.01.2025 № 01-25
პროგრამის განახლების თარიღი და ოქმის ნომერი	24.06.2026 №05-26

პროგრამის მიზანი

სამაგისტრო პროგრამა "აღმოსავლეთ ევროპის საგარეო პოლიტიკა და უსაფრთხოება" მიზნად ისახავს :

I ნაწილი:

1. აღჭურვოს კურსდამთავრებული აღმოსავლეთ ევროპის უსაფრთხოებისა და გეოპოლიტიკური გამოწვევების ყოვლისმომცველი, ღრმა და სისტემური ცოდნით;
2. განუვითაროს კურსდამთავრებულს აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების საგარეო და ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკის და სტრატეგიების ფორმირებაზე გავლენის მქონე ისტორიული, სოციალური, ეკონომიკური და გეოპოლიტიკური დინამიკის კვლევისა და კრიტიკული ანალიზის უნარები.

II ნაწილი:

3. უზრუნველყოს კურსდამთავრებული კვლევის დამოუკიდებლად განხორციელების უნარებით, აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვით და თანამედროვე მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით, საგარეო და ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკის ფორმულირების და აღსრულების პროცესების მხარდასაჭერად, უსაფრთხოების მიმდინარე და განვითარებად საფრთხეებზე ფოკუსირებით;
4. კურსდამთავრებულმა შეიტანოს წვლილი აღმოსავლეთ ევროპის საგარეო პოლიტიკისა და უსაფრთხოების სფეროში პროფესიული ცოდნისა და მტკიცებულებებზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების მიღების პრაქტიკის განვითარებაში.

სწავლის შედეგები

პროგრამა აგებულია ისე, რომ თითოეული ნაწილის დასრულებისას სტუდენტი აღწევს კვალიფიკაციის შესაბამის სწავლის შედეგებს.

პროგრამის I ნაწილის (პოლიტიკის მეცნიერების მაგისტრი / 60 ECTS) დასრულების შემდეგ კურსდამთავრებული:

ცოდნა და გაცნობიერება:

(A) ახდენს აღმოსავლეთ ევროპის წინაშე არსებული გეოპოლიტიკური და უსაფრთხოების გამოწვევების - მათ შორის რუსეთის გავლენის, ნატოს როლისა და სხვა რეგიონული და საერთაშორისო აქტორების - სიღრმისეული ცოდნის დემონსტრირებას;

(B) კრიტიკულად იაზრებს აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების პოლიტიკურ სისტემებს, ეკონომიკურ და საგარეო პოლიტიკას, მათ შორის ისტორიული და თანამედროვე მოვლენების მნიშვნელობასა და გავლენას;

(C) აცნობიერებს უსაფრთხოების თანამედროვე აქტუალურ საკითხებს, როგორიცაა სამხედრო მზადყოფნა, კიბერუსაფრთხოების საფრთხეები, ჰიბრიდული ომი და რეგიონული ალიანსების როლი;

(D) აცნობიერებს აღმოსავლეთ ევროპის გლობალურ ინსტიტუტებთან ინტეგრაციის პროცესსა და ამ ალიანსების გავლენას რეგიონის საგარეო პოლიტიკასა და უსაფრთხოების დინამიკაზე.

უნარი:

(E) იყენებს კრიტიკულ აზროვნებასა და ანალიტიკურ უნარებს აღმოსავლეთ ევროპაში პოლიტიკური, ეკონომიკური, უსაფრთხოებისა და სამხედრო მოვლენების შესაფასებლად ინტერდისციპლინური მიდგომების გამოყენებით;

(G) კრიტიკულად აანალიზებს უსაფრთხოების დინამიკას აღმოსავლეთ ევროპაში, აფასებს სამხედრო მზადყოფნას, კიბერუსაფრთხოების საფრთხეებსა და ჰიბრიდული ომის სტრატეგიებს, აყალიბებს და სთავაზობს პრაქტიკულ გადაწყვეტილებებს;

(H) ახდენს საკუთარი დასკვნების, არგუმენტებისა და კვლევის შედეგების წარდგენას წერილობით და ზეპირად, მათ შორის პოლიტიკის შემქმნელებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებისთვის.

პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა:

(I) შეაქვს წვლილი აღმოსავლეთ ევროპის საგარეო პოლიტიკისა და უსაფრთხოების სფეროში პროფესიული ცოდნისა და მტკიცებულებებზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების მიღების პრაქტიკის განვითარებაში.

პროგრამის II ნაწილის (კვლევის მაგისტრი / 60 ECTS) დასრულების შემდეგ კურსდამთავრებული:

უნარი:

(F) დამოუკიდებლად ატარებს აღმოსავლეთ ევროპის საგარეო პოლიტიკისა და უსაფრთხოების პრობლემური საკითხების სიღრმისეულ კვლევას, აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვითა და თანამედროვე მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით, აყალიბებს ეფექტიან სტრატეგიულ მოსაზრებებსა და პოლიტიკის რეკომენდაციებს;

პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა:

(J) დამოუკიდებლად გეგმავს და წარმართავს საკუთარი სწავლისა და სამეცნიერო-კვლევით პროცესს საგარეო პოლიტიკისა და უსაფრთხოების კვლევების მიმართულებით.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა

პროგრამის I ნაწილზე (60 ECTS):

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის I ნაწილზე მიღება ხორციელდება საერთო სამაგისტრო გამოცდების შედეგებისა და შიდასაუნივერსიტეტო გამოცდების საფუძველზე ან უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში, დადგენილი წესის შესაბამისად, ადმინისტრაციული რეგისტრაციის გავლისა და რექტორის ბრძანების საფუძველზე. შიდასაუნივერსიტეტო გამოცდებით ვლინდება ცოდნის ზოგადი დონე არჩეული სპეციალობისა და ინგლისური ენის B2 დონის ფარგლებში. გასაუბრებისა და გამოცდების საკითხები/ტესტები და შეფასების კრიტერიუმები განთავსდება უნივერსიტეტის ვებგვერდზე გამოცდების დაწყებამდე არანაკლებ ერთი თვით ადრე (http://www.sabauni.edu.ge).

ინგლისური ენის ტესტირებისგან თავისუფლდება კანდიდატი, რომელიც წარმოადგენს ინგლისური ენის B2 დონის დამადასტურებელ მოქმედ საერთაშორისო სერტიფიკატს (FCE, IELTS, TOEFL PBT/CBT/IBT, VERSANT, CERTUS, PEARSON), ან ვისაც ინგლისურ ენაზე გავლილი აქვს საბაკალავრო/სამაგისტრო პროგრამა სრულად ან სრული ერთი სემესტრი მაინც.

შენიშვნა: ყველა ზემოთ ჩამოთვლილი სერტიფიკატი განაცხადის გაკეთების დროს უნდა იყოს ძალაში და აპლიკანტს უნდა შეეძლოს მისი წარმოდგენა. ვადაგასული დოკუმენტი არ განიხილება.

პროგრამის II ნაწილზე (60 ECTS):

პირი, რომელიც სამაგისტრო გამოცდების საფუძველზე ჩაირიცხა სამაგისტრო პროგრამის I ნაწილზე (60 კრედიტი) და დაასრულა იგი, უფლებამოსილია სამაგისტრო გამოცდების ჩაბარების გარეშე გააგრძელოს სწავლა იმავე პროგრამის II ნაწილზე, თუ I ნაწილზე ჩარიცხვიდან არ არის გასული 5 (ხუთი) წელი.

პროგრამაზე მობილობის წესით ჩარიცხვა შესაძლებელია წელიწადში ორჯერ, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილ ვადებში, სავალდებულო პროცედურებისა და უნივერსიტეტის მიერ დადგენილი წესების დაცვით.

პროგრამაზე ჩარიცხვა, ან გადმოყვანის წესით ჩარიცხვა უცხო ქვეყნის აღიარებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს გადაწყვეტილების საფუძველზე.

სწავლება-სწავლის მეთოდი

☒ ლექცია ☒ სამუშაო ჯგუფში მუშაობა ☒ პრაქტიკული მუშაობა ☒ სემინარი ☒ ელექტრონული რესურსით სწავლება ☐ ელექტრონული სწავლება ☒ სხვა

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა

საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტში სტუდენტის სწავლის შედეგის მიღწევის დონის შეფასება მოიცავს შეფასების ფორმებს - შუალედურ (ერთჯერად ან მრავალჯერად) და დასკვნით შეფასებას, რომელთა ჯამი წარმოადგენს საბოლოო შეფასებას (100 ქულა).

შუალედური და დასკვნითი შეფასება (შეფასების ფორმები) მოიცავს შეფასების კომპონენტს/კომპონენტებს, რომელიც განსაზღვრავს სტუდენტის ცოდნის ან/და უნარის ან/და კომპეტენციების შეფასების ხერხს/ხერხებს (ზეპირი/წერითი გამოცდა, ზეპირი/წერითი გამოკითხვა, საშინაო დავალება, პრაქტიკული/თეორიული სამუშაო და სხვ.). შეფასების კომპონენტი აერთიანებს შეფასების ერთგვაროვან მეთოდებს (ტესტი, ესე/ესეი, დემონსტრირება, პრეზენტაცია, დისკუსია, პრაქტიკული/თეორიული დავალების შესრულება, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, დისკუსიაში მონაწილეობა, შემთხვევის შესწავლა და სხვა). შეფასების მეთოდი/მეთოდები იზომება შეფასების კრიტერიუმებით ანუ შეფასების მეთოდის საზომი ერთეულით, რითაც დგინდება სწავლის შედეგების მიღწევის დონე.

შეფასების თითოეულ ფორმასა და კომპონენტს შეფასების საერთო ქულიდან (100 ქულა) განსაზღვრული აქვს ხვედრითი წილი საბოლოო შეფასებაში, რაც აისახება კონკრეტულ სილაბუსში და ეცნობება სტუდენტს სასწავლო სემესტრის დასაწყისში.

დაუშვებელია კრედიტის მინიჭება შეფასების მხოლოდ ერთი ფორმის (შუალედური ან დასკვნითი შეფასება) გამოყენებით. სტუდენტს კრედიტი ენიჭება მხოლოდ დადებითი შეფასების მიღების შემთხვევაში. საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისას სტუდენტის შუალედური და დასკვნითი შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვარის ხვედრითი წილი აისახება კონკრეტულ სილაბუსში და ეცნობება სტუდენტს სასწავლო სემესტრის დასაწყისში. შეფასების სისტემა უშვებს:

ხუთი სახის დადებით შეფასებას:	
(A) ფრიადი	შეფასების 91-100 ქულა;
(B) ძალიან კარგი	მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;
(C) კარგი	მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;
(D) დამაკმაყოფილებელი	მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;
(E) საკმარისი	მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა.
ორი სახის უარყოფით შეფასებას:	
(FX) ვერ ჩააბარა	მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
(F) ჩაიჭრა	მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

შეფასების ფორმები და კომპონენტები

შეფასების ფორმები და კომპონენტები	**მაქსიმალური ქულა**
შუალედური შეფასება:	**70 ქულა**
1.1	
1.2	
1.3	
დასკვნითი შეფასება	**30 ქულა**
დასკვნითი წერითი/ზეპირი გამოცდა	30
სულ	**100 ქულა**

საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტში, FX-ის მიღების შემთხვევაში დამატებითი გამოცდა დაინიშნება დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 კალენდარულ დღეში. სტუდენტის მიერ დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებული ქულათა რაოდენობა. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება და აისახება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასების გათვალისწინებით საგანმანათლებლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში 0-50 ქულის მიღების შემთხვევაში, სტუდენტს უფორმდება შეფასება F-0 ქულა.

დასაქმების სფერო

პროგრამა ამზადებს კურსდამთავრებულს კარიერისთვის დიპლომატიურ, საერთაშორისო, სამეცნიერო-კვლევით, სადაზვერვო, უსაფრთხოებისა და თავდაცვის სფეროებში და არასამთავრობო ორგანიზაციებში. პრაქტიკულ უნარებზე ორიენტირებით, პროგრამის კურსდამთავრებული იქნება კარგად აღჭურვილი, რათა ეფექტიანად ჩაერთოს საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის შემუშავების, დაგეგმვის, კვლევის და ანალიზის პროცესებში.
პროგრამის II ნაწილი (კვლევის მაგისტრი) ხაზს უსვამს კვლევას, რაც სტუდენტს საშუალებას აძლევს ჩაატაროს სიღრმისეული კვლევები აღმოსავლეთ ევროპის მთავარ პოლიტიკურ, უსაფრთხოებისა და თავდაცვის საკითხებზე. ძლიერი კვლევითი ბაზა იდეალურია კურსდამთავრებულისთვის, რომლის მიზანია აკადემიური კარიერა ან პოლიტიკის ანალიზის როლები მთავრობასა და საერთაშორისო ორგანიზაციებში.

სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა

სამაგისტრო პროგრამის პირველი ნაწილის (60 ECTS კრედიტი) კურსდამთავრებულს უფლება აქვს, სამაგისტრო გამოცდების ჩაბარების გარეშე სწავლა განაგრძოს სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის აღმოსავლეთ ევროპის პოლიტიკისა და უსაფრთხოების სამაგისტრო პროგრამის მეორე ნაწილზე (60 ECTS კრედიტი), თუ პირველ ნაწილზე ჩარიცხვიდან არ არის გასული 5 წელი. აღმოსავლეთ ევროპის პოლიტიკისა და უსაფრთხოების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მეორე ნაწილის (60 ECTS კრედიტი) კურსდამთავრებულს კი – საქართველოს ან სხვა ქვეყნების უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში საგარეო პოლიტიკის, უსაფრთხოებისა და თავდაცვის კვლევების ან სხვა

პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი მატერიალური რესურსი

უნივერსიტეტის საკუთრებაში და მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსი უზრუნველყოფს სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზნების რეალიზაციასა და დაგეგმილი სწავლის შედეგების მიღწევას:

შენობა-ნაგებობები - სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება უნივერსიტეტის 24–საათიან მფლობელობაში და საკუთრებაში არსებულ შენობა-ნაგებობებში, სადაც დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური და უსაფრთხოების ნორმები (შენობებში დამონტაჟებულია სიგნალიზაცია, არის ცეცხლმაქრები, პერიმეტრზე მიმდინარეობს ვიდეო კონტროლი, წესრიგს იცავს უნივერსიტეტის დაცვის თანამშრომელი). შენობა სრულად პასუხობს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებისათვის დადგენილ ტექნიკურ მოთხოვნებს, არის სათანადო ტექნიკითა და ინვენტარით (პროექტორი, სკამები, მერხები, დაფები და სხვ.) აღჭურვული სალექციო და პრაქტიკული მეცადინეობებისთვის განკუთვნილი აუდიტორიები.

ბიბლიოთეკა - უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში დაცულია სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისი ბეჭდური და ელექტრონული ფონდი, რომელიც ხელმისაწვდომია სტუდენტებისთვის, მოწვეული და აკადემიური პერსონალისათვის. ბიბლიოთეკას აქვს სათანადო ინვენტარით (სკამები, მაგიდები, კომპიუტერები) აღჭურვილი სამკითხველო დარბაზი. ბიბლიოთეკაში არის მულტიფუნქციური ქსეროქსის აპარატი, რომლით სარგებლობაც სტუდენტს ბიბლიოთეკის თანამშრომლის დახმარებით შეუძლია. სამკითხველო დარბაზში სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ ისარგებლონ ინტერნეტით და საერთაშორისო ელექტრონული რესურსით (საკანონმდებლო მაცნე, EBSCO; HeinOnline, Elsevier). უნივერსიტეტის ბიბლიოთეკას აქვს ელექტრონული კატალოგი.

აკადემიური პერსონალის სამუშაო სივრცე - აკადემიური პერსონალისათვის შექმნილია სათანადო ინვენტარითა და ტექნიკით (სკამები მაგიდები, კარადები, ინტერნეტში ჩართული კომპიუტერი, ქსეროქსის მულტიფუნქციური აპარატი) აღჭურვილი სამუშაო გარემო.

საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები - სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისა და ადმინისტრირების ხელშეწყობის მიზნით, უნივერსიტეტი იყენებს საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს. არსებობს სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფა, არსებული კომპიუტერული ტექნიკა პასუხობს თანამედროვე მოთხოვნებს, ჩართულია ინტერნეტში და ხელმისაწვდომია სტუდენტებისთვის, აკადემიური, მოწვეული და ადმინისტრაციული პერსონალისათვის. სტუდენტებისათვის შეფასებების ხელმისაწვდომობის, ადმინისტრაციის მხრიდან სტუდენტთა აკადემიური მოსწრების კონტროლისა და სასწავლო პროცესის ხელშეწყობისათვის გამოიყენება სტუდენტთა ცოდნის შეფასებისა და სწავლების ორგანიზების ელექტრონული სისტემა. უნივერსიტეტის ვებ–გვერდის მეშვეობით, რომელზეც განთავსებულია საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი, საგანმანათებო პროგრამების განხორციელებასთან და სასწავლო პროცესის წარმართვასთან დაკავშირებული და სხვ. ინფორმაცია, უნივერსიტეტი უზრუნველყოფს ინფორმაცის საჯაროობას და ხელმისაწვდომობას.

პროგრამის სტრუქტურა

სამაგისტრო პროგრამა (120 ECTS) შედგება 60-60 ECTS კრედიტის მოცულობის ორი ნაწილისგან.

პროგრამის პირველი ნაწილი (60 ECTS — პოლიტიკის მეცნიერების მაგისტრი) მოიცავს მხოლოდ სასწავლო კომპონენტს, რომელიც წარმოდგენილია ძირითადი სწავლის სფეროს ცხრა სავალდებულო სასწავლო კურსის (54 ECTS) და ერთი არჩევითი სასწავლო კურსის (6 ECTS) სახით.

პროგრამის მეორე ნაწილი (60 ECTS — კვლევის მაგისტრი) მოიცავს სასწავლო და სამეცნიერო-კვლევით კომპონენტებს. სასწავლო კომპონენტი (30 ECTS) შედგება სამი სავალდებულო (18 ECTS) და ორი არჩევითი (12 ECTS) კურსებისგან და ორიენტირებულია წერითი და ზეპირი კვლევითი, პირველადი და მეორეული წყაროების მოძიების, დამუშავებისა და დამოუკიდებელი კვლევის უნარების გამომუშავებაზე. სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი (30 ECTS) წარმოდგენილია სამაგისტრო ნაშრომის შესრულებისა და დაცვის სახით.

სტუდენტს არჩევითი კურსების აღება შეუძლია როგორც წინამდებარე პროგრამის საგნებიდან, ისე უნივერსიტეტში მოქმედი ნებისმიერი სამაგისტრო პროგრამიდან.

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე მობილობის წესით ჩარიცხვა შესაძლებელია წელიწადში ორჯერ, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილ ვადებში, სავალდებულო პროცედურებისა და უნივერსიტეტის მიერ დადგენილი წესების დაცვით.

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვა, ან გადმოყვანის წესით ჩარიცხვა უცხო ქვეყნის აღიარებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს გადაწყვეტილების საფუძველზე.

№	წინაპირობა	მოდული/საგანი	ECTS კრედიტი				სტუდენტის სასწავლო დატვირთვა	
			I წელი		II წელი			
			სემესტრი					
			I	II	III	IV	საკონტაქტო საათები	დამოუკიდებელი საათები
პროგრამის I ნაწილი (პოლიტიკის მეცნიერების მაგისტრი / 60 ECTS) - სასწავლო კომპონენტი								
ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსები - 54 ECTS								
1.	წინაპირობის გარეშე	აღმოსავლეთ ევროპის უახლესი პოლიტიკური ისტორია	6/150				29	121
2.	წინაპირობის გარეშე	აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების პოლიტიკური სისტემები	6/150				29	121
3.	წინაპირობის გარეშე	აღმოსავლეთ ევროპის პოლიტიკური ეკონომია	6/150				28	122
4.	წინაპირობის გარეშე	აღმოსავლეთ ევროპის საგარეო პოლიტიკა: თანამედროვე დისკუსიები	6/150				29	121
5.	წინაპირობის გარეშე	სამხედრო მზადყოფნა: კონცეფციები, არჩევანი, შედეგები	6/150				29	121

6.	წინაპირობის გარეშე	რუსეთის საგარეო პოლიტიკა და აღმოსავლეთ ევროპის უსაფრთხოება		6/150			42	108
7.	წინაპირობის გარეშე	დიდი ძალების საგარეო პოლიტიკა და აღმოსავლეთ ევროპა		6/150			29	121
8.	წინაპირობის გარეშე	„რუხი ზონები“ და საერთაშორისო უსაფრთხოების გამოწვევები აღმოსავლეთ ევროპაში		6/150			26	124
9.	წინაპირობის გარეშე	ეროვნული უსაფრთხოების და თავდაცვის პოლიტიკა და მენეჯმენტი		6/150			42	108
ძირითადი სწავლის სფეროს არჩევითი სასწავლო კურსები								
1.	წინაპირობის გარეშე	ტერორიზმი და კონტრტერორიზმი		6/150	+		29	121
2.	წინაპირობის გარეშე	კონფლიქტები აღმოსავლეთ ევროპაში		6/150	+		29	121
3.	წინაპირობის გარეშე	კიბერუსაფრთხოება აღმოსავლეთ ევროპის უსაფრთხოების კონტექსტში		6/150	+		29	121
4.	წინაპირობის გარეშე	სტრატეგიული კომუნიკაცია საგარეო პოლიტიკის და ეროვნული უსაფრთხოების კონტექსტში		6/150	+		29	121
5.	სამხედრო მზადყოფნა: კონცეფციები, არჩევანი, შედეგები	სამხედრო სტრატეგია და კამპანიის დაგეგმვა აღმოსავლეთ ევროპის უსაფრთხოების კონტექსტში		6/150	+		29	121
6.	წინაპირობის გარეშე	ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმება და ევროინტეგრაცია		6/150	+		41	109
7.	წინაპირობის გარეშე	ეთნიკური უმცირესობები და სახელმწიფო პოლიტიკა პოსტსაბჭოთა საქართველოში		6/150	+		28	122

8.	წინაპირობის გარეშე	ინტერესთა ჯგუფები და ლობირება		6/150	+		28	122
9.	წინაპირობის გარეშე	საქართველოს სახელმწიფო მოწყობა		6/150	+		40	110
10	წინაპირობის გარეშე	აღმოსავლეთ ევროპა და ენერგოუსაფრთხოება		6/150	+		29	121
11	წინაპირობის გარეშე	საქართველო-ევროკავშირის სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობები		6/150	+		29	121
12	წინაპირობის გარეშე	საჯარო ფინანსები და უსაფრთხოების სექტორი		6/150	+		29	121
13	წინაპირობის გარეშე	პოლიტიკური ისლამი და თანამედროვე სამყარო		6/150	+		29	121
პროგრამის II ნაწილი (კვლევის მაგისტრი / 60 ECTS) - სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტები								
ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსები - 18 ECTS								
1.	წინაპირობის გარეშე	აკადემიური წერა სამაგისტრო პროგრამის სტუდენტებისთვის			6/150		28	122
2.	წინაპირობის გარეშე	თვისებრივი კვლევის მეთოდები			6/150		42	108
3.	წინაპირობის გარეშე	რაოდენობრივი კვლევის მეთოდები და მონაცემთა ანალიზი SPSS-ის გამოყენებით			6/150		42	108
არჩევითი სასწავლო კურსები								
აღმოსავლეთ ევროპის პოლიტიკისა და უსაფრთხოების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის პირველი ნაწილის (60 ECTS კრედიტი) არჩევითი სასწავლო კურსები.								
სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი - 30 ECTS								
1.	აკადემიური წერა სამაგისტრო პროგრამის სტუდენტებისთვის;	სამაგისტრო ნაშრომი				30/750	10	740

	თვისებრივი კვლევის მეთოდები; რაოდენობრივი კვლევის მეთოდები და მონაცემთა ანალიზი SPSS-ის გამოყენებით							
სემესტრში			30	30	30	30		
წელიწადში			60		60			
სულ			120					

პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკა

საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები	სწავლის შედეგები									
	ცოდნა და გაცნობიერება				უნარები				პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა	
	A	B	C	D	E	F	G	H	I	J
მიზანი 1. აღჭურვოს კურსდამთავრებული აღმოსავლეთ ევროპის უსაფრთხოებისა და გეოპოლიტიკური გამოწვევების ყოვლისმომცველი, ღრმა და სისტემური ცოდნით;	X	X	X	X						
მიზანი 2. განუვითაროს კურსდამთავრებულს აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების საგარეო და ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკის და სტრატეგიების ფორმირებაზე გავლენის მქონე ისტორიული, სოციალური, ეკონომიკური და გეოპოლიტიკური დინამიკის კვლევისა და კრიტიკული ანალიზის უნარები.		X			X		X	X		
მიზანი 3. უზრუნველყოს კურსდამთავრებული კვლევის დამოუკიდებლად განხორციელების უნარებით, აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვით და თანამედროვე მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით, საგარეო და ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკის ფორმულირების და აღსრულების პროცესების მხარდასაჭერად, უსაფრთხოების მიმდინარე და განვითარებად საფრთხეებზე ფოკუსირებით;					X	X	X	X	X	X
მიზანი 4. კურსდამთავრებულმა შეიტანოს წვლილი აღმოსავლეთ ევროპის საგარეო პოლიტიკისა და უსაფრთხოების სფეროში პროფესიული ცოდნისა და მტკიცებულებებზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების მიღების პრაქტიკის განვითარებაში.						X		X	X	X

პროგრამის სავალდებულო სასწავლო კურსებისა და პროგრამის სწავლის შედეგების რუკა

№	საგანი	კურსის სტატუსი		პროგრამის სწავლის შედეგები									
				(A)	(B)	(C)	(D)	(E)	(F)	(G)	(H)	(I)	(J)
1.	აღმოსავლეთ ევროპის უახლესი პოლიტიკური ისტორია	I	D	+	+								
2.	აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების პოლიტიკური სისტემები	I	D	+	+	+	+						
3.	აღმოსავლეთ ევროპის პოლიტიკური ეკონომია	D		+	+		+	+					
4.	აღმოსავლეთ ევროპის საგარეო პოლიტიკა: თანამედროვე დისკუსიები	D		+	+		+	+			+		
5.	სამხედრო მზადყოფნა: კონცეფციები, არჩევანი, შედეგები	D		+		+		+		+	+	+	
6.	დიდი ძალების საგარეო პოლიტიკა და აღმოსავლეთ ევროპა	D		+	+	+	+	+		+	+	+	
7.	რუსეთის საგარეო პოლიტიკა და აღმოსავლეთ ევროპის უსაფრთხოება	D	P	+	+	+	+	+		+	+	+	
8.	„რუხი ზონები“ და საერთაშორისო უსაფრთხოების გამოწვევები აღმოსავლეთ ევროპაში	D	P	+		+	+	+		+	+	+	
9.	ეროვნული უსაფრთხოების და თავდაცვის პოლიტიკა და მენეჯმენტი	D	P	+		+	+	+		+	+	+	

10.	აკადემიური წერა სამაგისტრო პროგრამის სტუდენტებისათვის	D							+		+		+
11.	თვისებრივი კვლევის მეთოდები	D						+	+				+
12.	რაოდენობრივი კვლევის მეთოდები და მონაცემთა ანალიზი SPSS-ის გამოყენებით	D						+	+				+
13.	სამაგისტრო ნაშრომი	P	M	+	+	+	+	+	+	+	+	+	+

კურსის სტატუსი

I – შესავალი კურსები (Introduction)	D - განმავითარებელი კურსები (Developing)	P - პრაქტიკული კურსები (Practical)	M- დაოსტატების კურსები (Master)

პროგრამის სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კურსების სწავლის შედეგების რუკა

№	მოდული/საგანი	კომპეტენციები		
		ცოდნა და გაცნობიერება	უნარი	პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა
	ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსები			
1.	აღმოსავლეთ ევროპის უახლესი პოლიტიკური ისტორია	+	+	
2.	აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების პოლიტიკური სისტემები	+	+	
3.	აღმოსავლეთ ევროპის პოლიტიკური ეკონომია	+	+	
4.	აღმოსავლეთ ევროპის საგარეო პოლიტიკა: თანამედროვე დისკუსიები	+	+	
5.	სამხედრო მზადყოფნა: კონცეფციები, არჩევანი, შედეგები	+	+	+
6.	რუსეთის საგარეო პოლიტიკა და აღმოსავლეთ ევროპის უსაფრთხოება	+	+	+
7.	დიდი ძალების საგარეო პოლიტიკა და აღმოსავლეთ ევროპა	+	+	+
8.	„რუხი ზონები“ და საერთაშორისო უსაფრთხოების გამოწვევები აღმოსავლეთ ევროპაში	+	+	+
9.	ეროვნული უსაფრთხოების და თავდაცვის პოლიტიკა და მენეჯმენტი	+	+	+
10.	აკადემიური წერა სამაგისტრო პროგრამის სტუდენტებისთვის	+	+	+
11.	თვისებრივი კვლევის მეთოდები	+	+	+
12.	რაოდენობრივი კვლევის მეთოდები და მონაცემთა ანალიზი SPSS-ის გამოყენებით	+	+	+

13.	სამაგისტრო ნაშრომი	+	+	+
	ძირითადი სწავლის სფეროს არჩევითი სასწავლო კურსები			
14.	ტერორიზმი და კონტრტერორიზმი	+	+	
15.	კონფლიქტები აღმოსავლეთ ევროპაში	+	+	
16.	კიბერუსაფრთხოება აღმოსავლეთ ევროპის უსაფრთხოების კონტექსტში	+	+	
17.	სტრატეგიული კომუნიკაცია საგარეო პოლიტიკის და ეროვნული უსაფრთხოების კონტექსტში	+	+	
18.	სამხედრო სტრატეგია და კამპანიის დაგეგმვა აღმოსავლეთ ევროპის უსაფრთხოების კონტექსტში	+	+	+
19.	ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმება და ევროინტეგრაცია	+	+	
20.	ეთნიკური უმცირესობები და სახელმწიფო პოლიტიკა პოსტსაბჭოთა საქართველოში	+	+	
21.	ინტერესთა ჯგუფები და ლობირება ევროკავშირში	+	+	
22.	საქართველოს სახელმწიფო მოწყობა	+	+	
23.	აღმოსავლეთ ევროპა და ენერგოუსაფრთხოება	+	+	
24.	საქართველო-ევროკავშირის სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობები	+	+	+
25.	საჯარო ფინანსები და უსაფრთხოების სექტორი	+	+	
26.	პოლიტიკური ისლამი და თანამედროვე სამყარო	+	+	+